საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გიორგი მიდოდაშვილი

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.04.2021

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №020/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ შორენა ხარჩილავას მიმართ /სიითი№1194/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შორენა ხარჩილავასთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2021 წლის 2 აპრილს საჩივრით მომართა გიორგი მიდოდაშვილმა და მოითხოვა ადვოკატ შორენა ხარჩილავასთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2020 წლის 20 ოქტომბერს, მასსა და ადვოკატ შორენა ხარჩილავას შორის შედგა ზეპირი შეთანხმება, იმის თაობაზე, რომ ადვოკატი მისი სახელით შეიტანდა სარჩელს თბილისის საქალაქო სასამართლოში. დავა ეხებოდა მისი არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი მისამართის განსაზღვრას. ამასთან, ამავე დღეს, მან გადაიხადა მომსახურების

გაწევის საფასური 650 ლარის ოდენობით. ამ თანხიდან 500 ლარი იყო ჰონორარი და 150 ლარი იყო სახელმწიფო ბაჟის თანხა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა არ შეასრულა აღებული ვალდებულება და ამჟამად იგი საერთოდ არ გამოდის კონტაქტზე; მასთან დაკავშირებაც კი შეუძლებელია.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი სახელით 2020 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 25 თებერვლამდე თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი ან/და განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დარეგისტრირებულა, მაშინ როდესაც ადვოკატმა 2020 წლის ნოემბერში მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს სარჩელი შეტანილი ჰქონდა სასამართლოში. მას ეს სარჩელი არ უნახავს და არ გაცნობია.

1.5 2021 წლის 17 მაისის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ იმ ეტაპზე ბავშვი იმყოფებოდა მის სახლში. ადვოკატმა მისცა რჩევა, რომ თუ ბავშვს არ სურდა წასვლა დედასთან, არ გაეშვა. ამის გამო, მისი ყოფილი მეუღლის განცხადების საფუძველზე მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამის შესახებ ადვოკატს ინფორმაციაც კი ვერ მიაწოდა, რადგან ის არ პასუხობდა მის ზარებს და მასთან დაკავშირება იყო შეუძლებელი.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატთან შეწყვიტა ურთიერთობა 2020 წლის დეკემბერში. ადვოკატმა განუმარტა, რომ თანხას სრულად ვერ დაუბრუნებდა, დაუბრუნებდა ნაწილს, თუმცა დღემდე მისთვის თანხა არ დაუბრუნებია და არ პასუხობს მის ზარებს.

1.7 2022 წლის 30 მარტის სხდომაზე მომჩივანმა დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები.

2. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის მარიამ ბერიძის ახსნა-განმარტება:

2.1 2021 წლის 17 მაისის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ განმარტა, რომ ის გიორგი მიდოდაშვილთან ერთად შეხვდა ადვოკატს 2020 წლის ოქტომბრის თვეში და შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების დეტალებსა და ჰონორარზე. ადვოკატს საადვოკატო მომსახურების ჰონორარი და ბაჟის თანხა (ჯამში 650 ლარი) ჩაურიცხა პირადი ანგარიშიდან.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა არ მიმართა სასამართლოს სარჩელით, მასთან კომუნიკაცია უჭირდათ - ადვოკატი არ პასუხობდა სატელეფონო ზარებსა და შეტყობინებებს.

3. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატ შორენა ხარჩილავას ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში მითითებული ელექტრონული ფოსტისა (shorena-kharchilava@mail.ru) და ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა საჩივარი ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ მისამართზე. ადვოკატს საჩივარი ჩაბარდა პირადად მიმდინარე წლის 22 მაისს. ასევე, ადვოკატს არ წარმოუდგენია წერილობითი განმარტება. ადვოკატმა არ მიიღო მონაწილეობა ეთიკის კომისიის 2021 წლის 27 მაისს ჩანიშნულ სხდომაზე. მიუხედავად კოლეგიის თხოვნისა, ადვოკატი არ გამოცხადდა განხილვის კოლეგიის 2022 წლის 28 მარტისა და 30 მარტის სხდომაზე. ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობია.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2021 წლის 03 ივნისს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ შორენა ხარჩილავას მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა შორენა ხარჩილავას მიერ დარღვეულია კვალიფიციური წარმომადგენლობის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა); კლიენტის ინფორმირების (ეთიკის კოდექსი მუხლი 8.6, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი 6.2); ასევე, გამოუმუშავებელი ჰონორარისა და სახელმწიფო ბაჟის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 უდავო ფაქტები:

5.1.1 ადვოკატი შორენა ხარჩილავა და მომჩივანი გიორგი მიდოდაშვილი ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს უნდა ეწარმოებინა გიორგი მიდოდაშვილის სამოქალაქო დავა, არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გიორგი მიდოდაშვილის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

საპროცესო ეპატზე გიორგი მიდოდაშვილის მოწმის პოზიცია;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი.

5.1.2 გიორგი მიდოდაშვილმა ადვოკატს ჩაურიცხა ჯამში 650 ლარი, საიდანაც 500 ლარი წარმოადგენდა ადვოკატის ჰონორარს, ხოლო 150 ლარი - სახელმწიფო ბაჟის თანხას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2020 წლის 20 ოქტომბრის საგადახდო დავალება N1603179612;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი.

5.1.3 ადვოკატმა შორენა ხარჩილავამ გიორგი მიდოდაშვილს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის პასუხი გიორგი მიდოდაშვილს

5.1.4 ადვოკატი შორენა ხარჩილავა არ პასუხობდა გიორგი მიდოდაშვილის ზარებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გიორგი მიდოდაშვილის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;

საპროცესო ეპატზე გიორგი მიდოდაშვილის მოწმის პოზიცია;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი.

სადავო ფაქტები:

მხარეთა შორის სადავოა ფაქტი: ადვოკატმა შორენა ხარჩილავამ გიორგი მიდოდაშვილს გაუწია არასწორი კონსულტაცია.

მომჩივანი განმარტავს, რომ ადვოკატმა შორენა ხარჩილავამ კონკრეტულ საკითხზე გაუწია არასწორი კონსულტაცია. ადვოკატს მომჩივანის პრეტენზიაზე თავისი პოზიცია არ წარმოუდგენია. სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს, რომელსაც, გარდა თავისი პოზიციისა, არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რაც ადვოკატის მიერ მისთვის არასწორი კონსულტაციის გაწევის ფაქტს დაადასტურებდა. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შორენა ხარჩილავას მიერ კლიენტისათვის არასწორი კონსულტაციის გაწევის ფაქტი არ დგინდება.

6. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატ შორენა ხარჩილავას მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ შორენა ხარჩილავას მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

7.1.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

7.1.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

7.2 „ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ასევე, ადვოკატი ვალდებულია იქონიოს სისტემატური კომუნიკაცია კლიენტთან საქმის წარმოების პროცესში, მასთან წინასწარი შეთანხმებისამებრ დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

7.3 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების

შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე #074/10).

7.4 „კლიენტის ინფორმირების ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვტილება, საქმე N066/10).

7.5 განხილვის კოლეგიამ, ისევე როგორც საპროცესო კოლეგიამ, გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა ადვოკატ შორენა ხარჩილავას ესარგებლა დისციპლინური სამართალწარმოების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით შესძლებოდა გამაქარწყლებელი მტკიცებულებებისა და პოზიციის წარდგენა. ადვოკატს საჩივარი ჩაბარდა და მასთან ჩაინიშნა საპროცესო კოლეგიის სხდომა. ადვოკატმა არ წარადგინა მისი პოზიცია არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით, ადვოკატთან ორჯერ ჩაინიშნა განხილვის კოლეგიის სხდომა, თუმცა ადვოკატმა სხდომის მიმდინარეობაში მონაწილეობა არ მიიღო. აღნიშნული კი მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მოპასუხე ადვოკატმა დისციპლინური წარმოების როგორც საპროცესო, ასევე განხილვის ეტაპზე უარი განაცხადა თავისი უფლების რეალიზებაზე, რომ წარმოედგინა მოსაზრებები, მტკიცებულებები და არგუმენტები, რომელიც გააბათილებდა მომჩივანის პრეტენზიებს.

7.6 განხილვის კოლეგია საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ადგენს, რომ გიორგი მიდოდაშვილისა და შორენა ხარჩილავას შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2020 წლის ოქტომბერში. ადვოკატმა აიღო ვალდებულება ეწარმოებინა გიორგი მიდოდაშვილის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში, სასარჩელო წარმოების გზით, რისთვისაც მას გიორგი მიდოდაშვილმა გადასცა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი და სახელმწიფო ბაჟისათვის განკუთვნილი თანხა. ნოემბრის თვეში ადვოკატმა მას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სარჩელით მიმართა სასამართლოს, თუმცა ადვოკატის მიერ მომზადებულ რაიმე დოკუმენტს კლიენტი არ გაცნობია. იმის გამო, რომ ადვოკატი არ პასუხობდა კლიენტის ზარებს და შეტყობინებებს, გიორგი მიდოდაშვილს ეჭვი შეეპარა ადვოკატის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში და მიმართა სასამართლოს იმის დასადგენად, შეიტანა თუ არა ადვოკატმა სარჩელი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის პასუხის თანახმად, 2020 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 25 თებერვლის ჩათვლით, გიორგი მიდოდაშვილის სარჩელი ან/და განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ რეგისტრირებული არ არის.

7.7 განხილვის კოლეგიის განმარტებით, კლიენტის ინფორმირება მოიცავს არა მხოლოდ ინფორმაციის დროულ მიწოდებას, არამედ სწორი ინფორმაციის მიწოდებას, რომლის შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ადვოკატს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ის ახდენდა კლიენტის დროულ და სწორ ინფორმირებას. ამის საპირისპიროდ, საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებითა და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რადგან არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე, არასწორ ინფორმაციას აწვდიდა და არ პასუხობდა კლიენტის ზარებს, რამაც გიორგი მიდოდაშვილის სამართლებრივი უფლებები ხელყო.

7.8 წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი შორენა ხარჩილავა საქმის წარმოებას არ მოეკიდა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გამოიხატა მის მიერ იმ იურიდიული მოქმედებების განუხორციელებლობაში, რომლებიც კლიენტის სასარგებლოდ იქნებოდა მიმართული. კლიენტი საადვოკატო ურთიერთობის დაწყების დღიდან არ იყო ინფორმირებული რა ხდებოდა მის საქმეზე, გიორგი მიდოდაშვილის ინფორმაციით, ადვოკატს აღებული საადვოკატო მომსახურების თანხის ფარგლებში, საქმის წარმოება საერთოდ არ დაუწყია.

7.9 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე", ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები". საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ შორენა ხარჩილავას ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა საკუთარი პოზიცია, რაც ადვოკატმა არ გამოიყენა.

7.10 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით, მოწმის ახსნა-განმარტებით და დაადგინა, რომ ადვოკატმა შორენა ხარჩილავამ დაარღვია კვალიფიციური მომსახურებისა და კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ეთიკური ვალდებულება.

7.11 ადვოკატმა შორენა ხარჩილავამ დაარღვია გამოუმუშავებელი ჰონორარისა და მინდობილი თანხის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება:

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი ან ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

7.12 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 12.09.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე #015/18).

7.13 ადვოკატ შორენა ხარჩილავას მიღებული აქვს ჯამში 650 ლარი (2020 წლის 20 ოქტომბრის საგადახდო დავალება N1603179612). კლიენტის ინფორმაციით, ამ თანხიდან 500 ლარი წარმოადგენდა ადვოკატის ჰონორარს, ხოლო 150 ლარი განკუთვნილი იყო საქმის წარმოების ხარჯებისათვის. აღნიშნული ჰონორარის ფარგლებში, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა გიორგი მიდოდაშვილის საქმე სასამართლო წარმოების გზით, პირველი ინსტანციის სასამართლოში. წარმოდგენილი მასალებით იკვეთება, რომ ადვოკატს გიორგი მიდოდაშვილის საქმის წარმოება სასამართლოში არ დაუწყია, ანუ არ გამოუყენებია მიღებული სახელმწიფო ბაჟის თანხა. ადვოკატს

აღებული ვალდებულება არ შეუსრულებია. შესაბამისად, რადგან ადვოკატმა შეთანხმებული მომსახურება ვერ შეასრულა, ადვოკატს წარმოეშვა ვალდებულება კლიენტისთვის დაებრუნებინა გამოუმუშავებელი ჰონორარის ნაწილი, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული გაანგარიშებით და გამოუყენებელი მინდობილი თანხები, რომელიც კლიენტის საკუთრებას წარმოადგენს.

7.14 საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა შორენა ხარჩილავამ კლიენტს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა და სახელმწიფო ბაჟის თანხა. შესაბამისად, ადვოკატმა დაარღვია გამოუმუშავებელი ჰონორარისა და მინდობილი თანხის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

7.15 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე. ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

7.16 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

7.17 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

7.18 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

7.19 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიუხედვად კომისიის არაერთი მცდელობისა, ადვოკატმა არ მიიღო მონაწილეობა დისციპლინურ წარმოებაში (არც საპროცესო და არც განხილვის ეტაპზე) და არ წარმოუდგენია მომჩივანის პრეტენზიის გამაქარწყლებელი პოზიცია და მტკიცებულებები. შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება: საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობისადმი ადვოკატ შორენა ხარჩილავას დამოკიდებულებიდან გამომდინარე; ასევე, კომისიამ დაადგინა სამის სახის ეთიკური გადაცდომა:

(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6 და 8.15 მუხლები; ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა, 6.2 მუხლები).

7.20 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატ შორენა ხარჩილავას დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატი შორენა ხარჩილავა არ არის დისციპლინირებული, რის გამოც საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან.

7.21 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ შორენა ხარჩილავას ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

7.22 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1.„ა“ მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N020/21 ადვოკატ შორენა ხარჩილავას მიმართ /სიითი№1194/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/